

# 2011

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დავების განხილვის საბჭო



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო  
დავების განხილვის საბჭო



## [სტატისტიკური ანგარიში]

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ 2011 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემების ამსახველ დოკუმენტს.

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის მიერ.

დოკუმენტში მითითებულ მონაცემთა წყაროდ გამოყენებულია საჩივრების აღრიცხვისა და მართვის საინფორმაციო სისტემაში დაცული ინფორმაცია.

## საერთო მაჩვენებლები


2011 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში დავების განხილვის საბჭოში რეგისტრირებულია 714 მომართვა. ამავე წელს საბჭომ წარმოება დაასრულა 474 საჩივარზე.

2011 წელს წარმოების ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელმა 34 დღე შეადგინა. საბჭოს წინაშე სადავო თანხამ შეადგინა 239.706.176 ლარი.

## საჩივრების დინამიკა


საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს სანდოობა იზრდება, რასაც მოწმობს რეგისტრირებული საჩივრების რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ დავების საბჭოში გასაჩივრება სავალდებულო არ არის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავის ნებისმიერ ეტაპზე მომჩივანი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს, სულ უფრო მეტი მომჩივანი არჩევს გაიაროს დავების განხილვის საბჭოს ეტაპი.

## რეგისტრირებული საჩივრების დინამიკა




სადავო თანხის დინამიკა 2011 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით შემდეგნაირია:

## სადავო თანხის დინამიკა



საბჭოსა და მისი აპარატის რესურსების მობილიზების ხარჯზე მოხერხდა საჩივრის განხილვის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებლის შემცირება და მან გასულ წელთან შედარებით 3-ით ნაკლები – 34 დღე – შეადგინა.

## მიმდინარე და დასრულებული საჩივრების ურთიერთშეფარდება




## სამართალწარმოების ხანგრძლივობა

2011 წლის პირველ ნახევარში საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ უმეტეს შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იყო პირველივე ზეპირი მოსმენისას ან განხილვის

ერთი შეჩერებით, რაც მიუთითებს აპარატის მიერ საჩივრის განსახილველად მომზადების მაღალ ხარისხზე.


### განხილვაზე დახარჯული დღეების ოდენობა



### გადაწყვეტილებები


2011 წელს მიღებული გადაწყვეტილებებით მომჩივანთა მოთხოვნა 210 შემთხვევაში დაკმაყოფილდა, 168 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 96 შემთხვევაში საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო.

### საჩივრების დაკმაყოფილების კოეფიციენტი



რაც შეეხება გასაჩივრებული თანხის ოდენობას, 239,7 მილიონი ლარიდან მომჩივნების სასარგებლო გადაწყვეტილება 45,2 მილიონ ლარზე იყო მიღებული, 90,2 მილიონ ლართან დაკავშირებით საბჭომ მართებულად ჩათვალა დარიცხვა, ხოლო 104,3 მილიონი ლარის შესახებ დავა განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო.


## სადავო თანხები



## შემმოწმებელი ორგანოების მაჩვენებლები


2011 წელს დასრულებულ დავებზე გასული წლის ანალოგიურად ყველაზე ხშირად მოპასუხედ თბილისის რეგიონული ცენტრი გამოდიოდა. ყველაზე ნაკლებ შემთხვევაში კი მოპასუხეს მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტი წარმოადგენდა.

## გასაჩივრებული გადაწყვეტილების რაოდენობა




თანხობრივი მაჩვენებლებით, გასაჩივრებული თანხის უმეტესი ნაწილი აუდიტის დეპარტამენტის მიერ შემოწმებულ ორგანიზაციებზე მოდის, ყველაზე ნაკლები კი – გურიის რეგიონული ცენტრზე.

## სადავო თანხა შემმოწმებლების მიხედვით




რაც შეეხება ცალკეული შემმოწმებლის გადაწყვეტილებების გაუქმების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, იგი შემდეგნაირად გამოიყურება:



## მომჩივნები

2011 წელს მომჩივანთა უმეტესი ნაწილი ინდივიდუალურმა მეწარმეებმა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებმა შეადგინეს:


### მომჩივნები იურიდიული ფორმის მიხედვით



2011 წელს განხილული საჩივრებიდან ხარვეზი საერთო რაოდენობის 10%-ზე დადგინდა. ხარვეზის გამოსასწორებლად მომჩივნებს საშუალოდ 18 დღე დასჭირდათ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ახალი კოდექსით განსაზღვრული პროცედურული ტვირთის შემცირების მიუხედავად, გასულ წელთან შედარებით არ შემცირებულა ხარვეზიანი საჩივრების წილი.

### ხარვეზიანი საჩივრების წილი

■ ხარვეზიანი საჩივრები ■ უხარვეზო საჩივრები



## დავის საგნები

2011 წელს საბჭოს მიერ განხილულ საჩივრებში ჭარბობდა შემდეგი დავის საგნები:

1. არასწორად ნაწარმოები საგადასახადო აღრიცხვის გამო არაპირდაპირი მეთოდით განხორციელებული დარიცხვა;
2. საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერება;
3. ქრონომეტრაჟით გამოვლენილი ბრუნვის შემცირება;
4. ინვენტარიზაციისას გამოვლენილი აღურიცხავი საქონლისა და დანაკლისის გამოვლენა;
5. საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევისა და მასში თანხის შემცირების გამოვლენა;
6. დღგ-ის უკანონო ჩათვლა;
7. სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევა;
8. დღგ-ით დასაბეგრი ობიექტის განსაზღვრა; ოპერაციის განხორციელების მომენტისა და მოცულობის კორექტირება;
9. საქართველოს საზღვარზე საქონლის უკანონო გადმოტანა;
10. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობის გამო გამოსაქვითი ხარჯის შემცირება;
11. ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული საწვავის არასწორად ჩამოწერა;
12. საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების ანგარიშვალდებულ პირზე ხელფასის სახით განაცემად მიჩნევა;
13. შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განუხილველად დატოვება;
14. საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანა;
15. საბაზრო ფასის განსაზღვრა;